ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3678832

ნომერი: AR1548724

თარიღი : 16.10.2017

გაცემის თარიღი : 13.11.2017

გაცნობის თარიღი : 13.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 1 , (ნაკვეთი 18/075) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგ გამრეკელი პ/ნ 01001024798
- ნუცუბიძის ქუჩა 193

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ფენიქსი კოდი: 404852931

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3329715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 16 ოქტომბრის №AR1548724 განცხადებით მომართა მოქ. ვახტანგ გამრეკელმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3329715 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3329715 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩის N1-ში (ნაკვეთი 18/075), შპს ,,ფენიქსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N01.11.12.018.179, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (გ ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირებულია 977.3 კვ.მ ნაცვლად 979.5 კვ.მ-სა, საერთო ფართობად დაფიქსირებულია 18025.9 კვ.მ ნაცვლად 18028.1 კვ.მ-სა.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 16 ოქტომბრის №AR1548724 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, შეადარა სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3329715 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3329715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3329715 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 979.5 კვ.მ; საერთო ფართობად დაფიქსირდეს 18028.1 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3329715 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3329715 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.